

**საქართველოს მთავრობის
განკარგულება
N 377 2005 წლის 12 სექტემბერი ქ.თბილისი**

**საქართველოს ეროვნული ანტიკორუფციული სტრატეგიის
სამოქმედო გეგმის დამტკიცების შესახებ**

1. დამტკიცდეს საქართველოს ეროვნული ანტიკორუფციული სტრატეგიის თანდართული სამოქმედო გეგმა.
2. სამინისტროებმა უზრუნველყონ შიდასაუწყებო და მათი რეგულირების სფეროში ანტიკორუფციულ სამოქმედო გეგმათა მიღება 2005 წლის 30 სექტემბრამდე და საქარ-ველოს მთავრობას თვეში ერთხელ წარმოუდგინონ ანგარიში საქართველოს ეროვნული ანტიკორუფციული სტრატეგიის სამოქმედო გეგმის შესრულების მიმდინარეობის შესახებ.
3. საქართველოს ეროვნული ანტიკორუფციული სტრატეგიის სამოქმედო გეგმის შესრულების კონკრული განახორციელოს სახელმწიფო მინისტრმა რეფორმების კოორდინაციის საკითხებში კახა ბენდუქიძემ.
4. განკარგულება ძალაშია ხელმოწერის დღიდან.

პრემიერ-მინისტრი

გურაბ ნოღაიდელი

დამტკიცებულია
საქართველოს მთავრობის
2005 წლის 12 სექტემბრის
N 377 განკარგულებით

საქართველოს ეროვნული ანტიკორუფციული სტრატეგიის

სამოქმედო გეგმა

(2005-2006)

ანტიკორუფციულ ღონისძიებათა ქმედითობის გაძლიერება

1. ანტიკორუფციული კანონმდებლობის სრულყოფა
 - 1.1. კონკრეტული კორუფციული პრაქტიკის თვისებების დადგენა და შესაბამისი კანონმდებლობის კრიტიკული ანალიზი და ფორმირება;
 - 1.2. იმ კანონმდებლობისა და ნორმატიული ბაზის რევიზიის/ანალიზის ინსტიტუციონალიზება, რომლებიც მნიშვნელოვანია კორუფციის ღონის შესამცირებლად;
 - 1.3. ყველა იმ მოქმედების კრიმინალიზაცია, რომლებიც საერთაშორისო გამოცდილებით კორუფციულ დანაშაულად მიიჩნევა;
 - 1.4. კორუფციის ღონის განსაზღვრის სტანდარტული მეთოდის დანერგვა;

2. მაღალი თანამდებობის პირთა მიმართ სპეციალური ანტიკორუფციული ზედამხედველობის სისტემის შემუშავება

2.1. საქართველოს გენერალურ პროკურატურაში მხოლოდ მაღალი თანამდებობის პირების კორუფციულ დანაშაულო-ბეზბე ორიენტირებული სპეციალური ქვედანაყოფის შექმნა;

2.2. საქართველოს შინაგან საქმეთა სამინისტროში მხოლოდ მაღალი თანამდებობის პირების კორუფციულ დანაშაულო-ბეზბე ორიენტირებული სპეციალური ქვედანაყოფის შექმნა;

2.3. საჯარო მოხელეთა ანტიკორუფციული მონიტორინგის ეფექტიანი მექანიზმის შემუშავება;

2.3.1. შესაბამის კანონმდებლობაში შესატანი ცვლილებების მომზადება, რომლებიც განსაზღვრავენ დეკლარაციაში რეალური ქონების აღრიცხვას (მათ შორის დეკლარაციებში აისახოს როგორც საჯარო მოხელის ოჯახის წევრების, ისე მათი ნათესავებისა და დაკავშირებული პირების ქონება), გამიჯნავენ სხვადასხვა ღონის/რანგის მოხელეებისათვის დეკლარაციების შევსების ვალდებულებებსა და ხანგრძლივობას თანამდებობაზე ყოფნისა და თანამდებობის დატოვების შემდეგ;

2.4. იმის უზრუნველყოფა, რომ დეკლარაციების შევსება სავალდებულო გახდეს მსხვილი სახელმწიფო საწარმოებისა და საჯარო სამართლის იურიდიული პირების ხელმძღვანელებისათვის;

2.5. "გენერალური ინსპექციების შესახებ" კანონპროექტის მომზადება და საქართველოს პარლამენტში წარდგენა გენერალური ინსპექციების ქმედუნარიანობის გაძლიერებისა და ეფექტიანობის გაზრდისათვის.

3. სახელმწიფოს მხრიდან რეგულირებისა და ზედამხედველობის სისტემის შემცირება და სრულყოფა, აღმინისტრაციული ბარიერების შემცირება კორუფციის შენელების მიზნით

3.1. კანონპროექტის შემუშავება მაკონტროლებელი ორგანოების უფლებამოსილების გამიჯვნის, მეწარმე სუბიექტების ინსპექტირების ერთიანი წესების დადგენისა და ინსპექტირების (შემოწმების) რეგლამენტირების მიზნით;

3.2. შესაბამისი საკანონმდებლო აქტების პროექტების მიღება, რომლებიც არეგულირებენ ლიცენზირების სფეროს „ლიცენზირებისა და ნებართვების შესახებ" საქართველოს კანონის სრულად ამოქმედებისა და ბიზნესგარემოს გაუმჯობესების მიზნით;

3.3. სურსათის მწარმოებელი საწარმოების რეგულირების გამარტივებული წესების შემუშავება და შემოღება; სურსათისა და წამლის სფეროს სახელმწიფო ზედამხედველობის ახალი სისტემის შემუშავება;

3.4. შესაბამისი საკანონმდებლო აქტების შემუშავება პროფესიული საქმიანობის (თვით)რეგულირების მიზნით;

3.5. ტექნიკური რეგულირების სფეროს რეფორმისა და ბიზნესგარემოს გაუმჯობესების მიზნით მოქმედი კანონმდებლობის განსახორციელებელი შესაბამისი მექანიზმების ამოქმედება და ინსტიტუციური ცვლილებების განხორციელება;

3.6. მექანიზმის ამოქმედება და შესაბამისი ინსტიტუციური ცვლილებების განხორციელება, რომელიც უზრუნველყოფს პრივილეგიებისა და პრეფერენციების მინიჭების თვალსაზრისით მეწარმეობის მიმართ ხელისუფლების ნეიტრალიზაციის უზრუნველყოფას;

3.7. მნიშვნელოვანი კომერციული ორგანიზაციებისა და დიდი სახელმწიფო

ტენდერების მონაწილე ორგანიზაციების რეალურ მფლობელთა გამჭვირვალობის უზრუნველყოფა;

3.8. საშუალო სკოლების იურიდიულ პირებად ჩამოყალიბება და სამეთვალყურეო საბჭოების შექმნა კორუფციულ შესაძლებლობათა შესამცირებლად.

4. სახელმწიფო ქონებისა და საწარმოების პრივატიზების დაჩქარება და მაქსიმალური გამჭვირვალობის უზრუნველყოფა მხოლოდ სახელმწიფო ფუნქციების განსახორციელებლად საჭირო ქონების საკუთრებაში დაგოვების მიზნით

4.1. პრივატიზების პროცესის გამჭვირვალობის უზრუნველყოფა;

4.2. სახელმწიფო საკუთრებაში არსებული მსხვილი საწარმოებისა და ქონების ძირითადი ნაწილის პრივატიზება;

4.3. ენერგოდისტრიბუციისა და ენერგოგენერაციის ძირითადი ნაწილის პრივატიზება;

4.4. სახელმწიფო საკუთრებაში არსებული სასოფლო-სამეურნეო დანიშნულების მიწის პრივატიზება.

კორუფციასთან ბრძოლის მექანიზმების გაძლიერება

5. სასამართლო სისტემის რეფორმა

5.1. მოსამართლეთა და სასამართლო აპარატის მომსახურეთა მოტივაციის სისტემის შექმნა;

5.2. მოსამართლეთა ოპტიმალური რაოდენობის განსაზღვრა და კვალიფიციური კადრების შერჩევა;

5.3. სასამართლოთა საქმიანობისა და მოქალაქეებთან ურთიერთობის გამჭვირვალობის უზრუნველყოფა;

5.4. საერთო სასამართლოებში საქმეთა განაწილების წესის ოპტიმალური მექანიზმების შემუშავება;

5.5. ნაფიც მსაჯულთა სისტემის შემოღება, მოწმეთა დაცვის სისტემის შექმნა.

6. სამართალდაცვის ორგანოების რეფორმა

6.1. პროკურატურის საბჭოს, როგორც დამოუკიდებელი ორგანოს, შექმნა პროკურატურის მართვის ეფექტიანობის უზრუნველყოფის, პროკურორთა დანიშვნისა და დისციპლინური ღეგნის პროცესში მონაწილეობის მიზნით;

6.2. ფინანსურ პოლიციასა და სამართალდაცვის სხვა ორგანოებს შორის ფუნქციების გამიჯვნა და გადანაწილება უფლებამოსილებათა დუბლირების გამორიცხვის მიზნით;

6.3. ყველა იმ ორგანიზაციისა და დეპარტამენტის საორგანიზაციო დამოუკიდებლობა, რომლებიც ჩაბმული არიან კორუფციის აღმოჩენასა და გამოძიებაში, ანტიკორუფციულ პოლიტიკაში, ანტიკორუფციული სტრატეგიისა და სამოქმედო გეგმის განხორციელებაში;

6.4. საერთაშორისო სტანდარტების შესაბამისი ქცევის წესებისა და ინსტრუქციების შემუშავება სამართალდაცვის ორგანოების მოსამსახურეთათვის.

7. საჯარო დაწესებულებების სტრუქტურული, საკადრო და საქმისწარმოების ოპტიმიზაცია, ადამიანური რესურსების მართვის სისტემის სრულყოფა

7.1. სამინისტროების მიერ სამინისტროს შიგნით და რეგულირების სფეროში მიკროანტიკორუფციული სამოქმედო გეგმის წარმოდგენა;

7.2. საჯარო სამსახურის რეფორმის სტრატეგიისა და სამოქმედო გეგმის შემუშავება;

7.3. საჯარო სამსახურში პოლიტიკის შემუშავებელი ფუნქციის გამიჯვნა სხვა ფუნქციებისაგან და სტრუქტურული განცალკევება;

7.3.1. ფუნქციების მკაფიო გამიჯვნა კონკრეტული პილოტური სამინისტროების მაგალითზე სამინისტროების მმართველობითი ვერტიკალის პოლიტიკის შემუშავებელ და აღმასრულებელ რგოლებად დაყოფისათვის;

7.4. დამოუკიდებელი, დამოუკიდებელი სახელმწიფო და დამოუკიდებელი სამთავრობო ინსტიტუტების მკაფიოდ განსაზღვრა, მათი როლისა და ფუნქციების ფორმირება (მათ შორის საჯარო სამართლის იურიდიული პირების სისტემის ოპტიმიზაცია და ეროვნული დამოუკიდებელი მარეგულირებ-ლების სისტემის რეფორმა);

7.5. მომსახურების გამწვევ დაწესებულებებში ნათლად გაწერილი და შეძლებისდაგვარად ერთგვაროვან თანამდებობ-რივ აღწერილობათა შემუშავება, კვალიფიკაციის ამაღლების სისტემისა და მოქალაქეებთან ურთიერთობის კულტურის ამაღლება;

7.5.1. მომსახურების გამწვევ დაწესებულებათა ოპტიმიზა-ცია მათი სტრუქტურული და ფუნქციური დახვეწის, ლუბირე-ბისა და გადაფარვის აღმოფხვრის გზით;

7.5.2. მომსახურების გამწვევი დაწესებულებებისათვის ზოგადი სტრუქტურული ქვედანაყოფებისა და თანამდებობების განსაზღვრა, პირველადი თანამდებობრივი აღწერილობებისა და მათი მიზნობრივი გამოყენებისათვის ინსტრუქციის შემუშავება;

7.5.3. პოლიტიკის ფორმირებისა და სტრატეგიული დაგეგმვის გაუმჯობესება და ინსტიტუციონალიზება;

7.6. საჯარო სამსახურში კონკურსის წესების სრულყოფა, ობიექტურობა, გამჭვირვალობა და პროფესიული შერჩე-ვის/შეფასების წესების შემუშავება; კადრების მართვისათვის მონაცემთა ბაზის ფორმირება;

7.6.1. საჯარო სამსახურში კონკურსის წესების პროცედურული გამარტივება და დახვეწა, მოსამსახურეთა შერჩევისა და საქმიანობის ეფექტიანობის შეფასების ფაქტორებისა და მექანიზმების განსაზღვრა;

7.6.2. საჯარო მოხელეთა მონაცემთა ბანკის მომზადება და მისი ეგაპობრივი შევსება, უფლება-მოვალეობების და მუშაკის მახასიათებლებით მონაცემთა ბაზის მუდმივად განახლების მექანიზმების დანერგვა როგორც ცენტრალურ საჯარო დაწესებულებებში, ისე ადგილობრივი თვითმმართვე-ლობის ორგანოებში;

7.7. სამინისტროებისა და ადგილობრივი თვითმმართველო-ბის ორგანოების მიერ საინფორმაციო ბიუროების შექმნის უზრუნველყოფა, სადაც შესაძლებელი იქნება დაინტერესე-ბულმა პირებმა (განსაკუთრებით მცირე და საშუალო საწარმოების წარმომადგენლებმა) სახელმწიფოსაგან დროუ-ლად და ხარისხიანად მიიღონ ნებისმიერი საჯარო სახის ინფორმაცია;

7.8. მთავრობის საშუალოვადიანი სამოქმედო სტრატე-გიისა და რესურსების განკარგვის შემუშავების დახვეწა და ინსტიტუციონალიზება;

7.8.1. ძირითადი ამოცანებისა და მიმართულებების რევიზია, განხილვა, შემუშავება და ამ პროცესის ინტეგრირება BDD-ის დოკუმენტის მომზადებაში;

7.8.2. სახელმწიფო სტრატეგიის პრიორიტეტების დაფი-ნანსების უზრუნველყოფა და ეფექტიანობის ამაღლება, წლიური ბიუჯეტის ხარჯების საშუალოვადიანი (MTEF) დაგეგმვის პროცესის დანერგვის მეშვეობით (ყოველწლიურად).

8. სახელმწიფო დაწესებულებათა შიდა და გარე აუდიტისა და საფინანსო/საბუღალტრო აღრიცხვის სრულყოფა

8.1. საჯარო სექტორის აუდიტის სტანდარტების შემუშავება კონტროლის პროცედურების დასახვეწად INTOSAI-ის (International Organization of Supreme Audit Institutions) გამოცდილების გათვალისწინებით;

8.2. სახელმწიფო ფინანსების მართვის სტანდარტის 2001 წლის მეთოდოლოგიის (GFMS 2001) დანერგვა;

8.3. საბიუჯეტო ხარჯების ქმედითობის შეფასების სისტემის სრულყოფა.

9. სახელმწიფო შესყიდვების პროცესისა და მექანიზმების გაუმჯობესება

9.1. „სახელმწიფო შესყიდვების შესახებ“ საქართველოს კანონში შესატანი ცვლილებების მომზადება სააგენტოს ახალი სტატუსისა და პრინციპების განსაზღვრის მიზნით;

9.2. სახელმწიფო შესყიდვების სახელმძღვანელოს შემუშავება შემსყიდველი ორგანიზაციების ინფორმირებულობის გასაზრდელად;

9.3. ეგრეთ წოდებული „შავი“ სიების შექმნა შემსყიდველი ორგანიზაციების მიერ განხორციელებული შესყიდვების შედარებისა და ანალიზის მიზნით;

9.4. საიდუმლო შესყიდვების კატეგორიაში შემავალი შესყიდვების სიის რაციონალიზაცია.

10. საგადასახადო ადმინისტრირების შემდგომი სრულყოფა, სახაზინო სამსახურის ანგარიშის სრულყოფა

10.1. საგადასახადო კანონმდებლობის ანალიზი, საკანონ-მდებლო აქტებში არსებული ხარვეზების სრული ჩამონათვა-ლის შედგენა და მათი აღმოფხვრა;

10.2. გადასახადების გადამხდელთა შესახებ მონაცემთა ბანკის შექმნა, რომლის მიხედვითაც გადასახადების გადახდას უშუალოდ გააკონტროლებენ საგადასახადო ინსპექტორთა შემდგომი თანამდებობის პირები, ხოლო ყოველგვარი არასტანდარტული ცვლილება დაექვემდებარება წერილობით დასაბუთებულ ანგარიშგებას;

10.3. ახალი საბაჟო კოდექსის შემუშავება, ინფორმაციის ხელმისაწვდომობისა და გამჭვირვალობის უზრუნველყოფა საბაჟო პროცედურებთან დაკავშირებით;

10.4. საწარმოთა რეგისტრაციის სისტემის გამართვა (საწარმოების რეგისტრაცია განხორციელდება საგადასახადო-ლოში);

10.5. სახაზინო სამსახურის ერთიანი ანგარიშის სისტემის შექმნა, ქ. თბილისსა და სხვა დიდ ქალაქებში სახაზინო მომსახურების პრინციპების დანერგვა;

10.6. საერთაშორისო სტანდარტების შესაბამისად მუნიციპალიტეტების ბიუჯეტებისა და ფინანსური ანგარიშების ინტეგრირებული სისტემის დანერგვა.

11. პოლიტიკური პარტიების დაფინანსების რეფორმა

11.1. პოლიტიკური პარტიებისა და საარჩევნო კამპანიების დაფინანსების მონიტორინგის ჯგუფის მიერ მომზადებული კანონპროექტების განხილვა და საქართველოს პარლამენტში წარდგენა.

12. ომბუდსმენის ინსტიტუტის გაძლიერება

12.1. სპეციალიზებული ომბუდსმენის ინსტიტუტის შემოღება;

12.2. კანონპროექტის მომზადება ომბუდსმენის უფლებამოსილების გაძლიერების მიზნით.

13. მიზნობრივ სოციალურ დაცვაზე გადასვლა

14. მასშედის განვითარების ხელშეწყობა

14.1. ჟურნალისტთა დაცვის გეგმის შემუშავება ანტიკორუფციული სტრატეგიის

პრინციპების გათვალისწინებით, მასმედიის თავისუფლების დამოუკიდებლობისა და მიუ-კერძოებლობის მაღალი ხარისხის მიღწევის, სახელმწიფო სტრუქტურების მხრიდან მასმედიასთან თანამშრომლობის ამაღლების, ჟურნალისტთა პროფესიული განვითარების მიზნით;

14.2. მექანიზმის შემუშავება მასმედიის ფარული და პირდაპირი სუბსიდირების აღმოფხვრისათვის.

საერთაშორისო ნაწილი

15. საერთაშორისო ორგანიზაციების რეკომენდაციათა შესრულება

15.1. ევროპის საბჭოს ქვეყნები კორუფციის წინააღმდეგ ჯგუფთან (GRESO) აქტიური თანამშრომლობა საქართველოს მთავრობისათვის 2001 წელს GRESO-ს პლენარულ სხდომაზე შემუშავებული 25 რეკომენდაციის შესასრულებლად;

15.2. ეკონომიკური თანამშრომლობისა და განვითარების ორგანიზაციის ანტიკორუფციული ქსელის (ACN) წარმომადგენლებთან აქტიური თანამშრომლობა 2004 წლის 18 იანვარს ACN-ის შეხვედრაზე საქართველოსათვის შემუშავებული 21 რეკომენდაციის შესასრულებლად.

16. საერთაშორისო კონვენციების რატიფიცირება

16.1. შესაბამის ღონისძიებათა განხორციელება საქართველოს კორუფციის წინააღმდეგ გაერთიანებული ერების კონვენციასთან შეერთების მიზნით;

16.2. 1999 წლის 27 იანვარს ევროპის საბჭოს მიერ მიღებული „კორუფციის შესახებ“ სისხლის სამართლის კონვენციის რატიფიცირება;

16.3. 2003 წლის 15 მაისს ევროპის საბჭოს მიერ „კორუფციის შესახებ“ სისხლის სამართლის კონვენციისათვის მიღებულ დამატებით ოქმთან შეერთება და რატიფიცირება.

17. მომპოვებელი ინდუსტრიის გამჭვირვალობის ინიციატივის (Extractive Industry Transparency Initiative – EITI) პრინციპების აღიარება და დანერგვა

18. მსოფლიო ბანკის პროექტების განმახორციელებელი ერთეულების (PIU) კონსოლიდაცია და შემდგომი ინტეგრაცია სამთავრობო სტრუქტურებში.